ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4460909

ნომერი: AR1670797

თარიღი : 26.03.2019

გაცემის თარიღი : 16.04.2019

გაცნობის თარიღი : 16.04.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა VI , ნაკვეთი 05/047 ; ქალაქი თბილისი , შანდორ პეტეფის N15 , წულუკიძის N20 , თბოსადგურის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ლაზარიაშვილი პ/ნ 01026017338
- თბილისი მ. და ა.ბალანჩივაძეების ქ. N 31

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

2018 წლის 01 ივნისის N3992632 ბრძანებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები კომერციული და საოფისე ფუნქციით. დღეის მდგომარეობით 2019 წლის 26 მარტის AR1670797 განაცხადით ირაკლი ლაზაროაშვიმა მომართა სამსახურს N3992632 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებაზე, კერძოდ მოითხოვა სასტუმროს, საცხოვრებელი და კაფე ბარის ფუნქციების დამატება. სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია მსგავსი სახის არსებითი ცვლილების შეტანა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.
გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებულია დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, შესაბამისად ნაცვლად გაპში ცვლილებისა საჭიროა საკითხი დააყენოთ ახალი განაცხადით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე და მოითხოვოთ (მოთხოვნის ტექსტში) დადგენილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადებაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.